სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/44

ქ. თბილისი

28 მარტი 2025 წ.

დოქტორანტების სადისერტაციო თემების დამტკიცების ვადის გაგრძელების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №141/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 26-ე მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის თამარ წერეთლის 2025 წლის 27 მარტის სამსახურებრივი ბარათის (345845) და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 28 მარტის №01-05-02/09 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №141/ნ ბრძანებით დამტკიცებული სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩოდოკუმენტით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის №01-05-04/195 დადგენილებით შეტანილი ცვლილებებით განსაზღვრულ

მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 2024 წლის 30 აგვისტოს შემდეგ ჩარიცხული დოქტორანტებისათვის 2024-2025 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში სადისერტაციო თემების დამტკიცების ვადა გაგრძელდეს 2025 წლის აპრილის თვის ბოლომდე.

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**